


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, ბატონი ბეჭედი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბბით ბუბ-თის გატანა ყველა უჯარბისძობაზე უსამართლოა.

ოთხშაბათი, 20 ივლისი. 2016 წ. №134 (8026), გამოცემის 98-ე ნელი ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

## არ დაბავინდეთ, ოცნება თუ არ ახდა, ილუზიაა!

როგორც ვიუწყავოდით, გიორგი კვიციანი პარტიის რეპრეზენტის „ქართული ოცნების“ მასშობრივ კანდიდატები წარადგინა. მკითხველის თხოვნით გთავაზობთ პარტიის შეფასებას „ოცნების“ ახალ სახე-ავთან დაკავშირებით:

ქუთაისის 47-ე ოლქში კენჭს იყრის **ბენადი ბარბაქაძე** – იგი კომაროველია, ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა სკოლაში, ამჟამად სკოლის დირექტორია. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დირექტორია. წელი არ გავა, რომ მან ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის რამდენიმე აღზრდილი რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებზე არ წარადგინოს და არ მოიპოვოს გამარჯვება. ის ქვეყნის სიამაყეს ზრდის ქუთაისში. იგი აქ დაბადებული და გაზრდილი კაცია და დარწმუნებული ვარ, ყურადღებას არ მოაკლებს ქუთაისის და ქუთათურებს.

ქუთაისის 48-ე ოლქში – **ლიმპირი მხიპა**, რომელიც პროფესიით ექიმია. ის ისეთ პროფესიას ემსახურება, დარწმუნებული ვარ, ყველა ქუთაისელისთვის კარგად ნაცნობი და პატივსაცემი ადამიანია. მჯერა, რომ ძველ ქუთაისის მისი სახით ღირსეული წარმომადგენელი ეყოლება პარლამენტში...

ქუთაისის 49-ე ოლქში – **კობა ნარჩიაშვილი**. მას განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. იგი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ცნობილი მოვლენების დროს. ბატონი კობა, პირადად ჩემთვის, ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უნდა აარიდო განსაცდელი საკუთარ ხალხს კრიტიკულ სიტუაციაში და გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ. იგი გახლავთ სამართალმცოდნეობის მაგისტრი და ეკონომიკის მაგისტრი. დარწმუნებული ვარ, ბატონი კობა ერთ-ერთი გამორჩეული პარლამენტარი იქნება.

წყალტუბოში წარმომადგენელ **ცოტნე ზურაბიანის** კანდიდატურას. იგი პროფესიით იურისტი გახლავთ. მაგის-



ტრის ხარისხი მიღებული აქვს ბრემენის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად არის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. ცოტნეს სახით წყალტუბოს ეყოლება ახალგაზრდა და ენერგიული წარმომადგენელი, რომელიც წყალტუბოელების სათქმელს მიიტანს პარლამენტამდე.

ზესტაფონში წარმომადგენელ **შალვა კიკნაშვილის** კანდიდატურას. ბატონი შალვა, მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უკვე გამოცდილი პარლამენტარია. ახლახან შემოგვიერთდა პარტიაში, „ქართული ოცნების“ წევრი გახდა. ზესტაფონელია, კარგად იცის ზესტაფონელების ყველა პრობლემა და ისიც იცის, რომ უნდა მიხედოს ამ პრობლემებს პარლამენტიდან.

თერჯოლა-ტყიბულში „ქართული ოცნებას“ წარმოადგენს **ელგუჯა გოცირიძე**, იგი გახლავთ მედიცინის დოქტორი, ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი. ბატონი ელგუჯა თერჯოლიდან არის და კარგად იცნობს ამ კუთხეს. წარმატებული ადამი-

ანი თავის საქმეში და მჯერა, რომ ასეთივე იქნება პოლიტიკაშიც. თერჯოლასაც და ტყიბულსაც ნამდვილად ღირსეული წარმომადგენელი ეყოლება პარლამენტში.

საჩხერეში ჩვენი წარმომადგენელი იქნება **პაატო კვიციანი**, იგი გახლავთ პარლამენტის წევრი. პატრიოტი, მებრძოლი კაცია, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე. ვფიქრობ, საჩხერელებს მისი განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება.

ვანი-ხონის ოლქში წარმომადგენელ **ბრიგოლ ლილუაშვილის** კანდიდატურას. იგი გახლავთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მაგისტრი, ამჟამად თბილისის მერის მოადგილეა.

ბატონი გრიგოლი იყო „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საბაჟო დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოადგილე. იგი წარმატებული იყო ყველა პოზიციაზე, სადაც მუშაობდა. დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება იგი პარლამენტარის რანგშიც.

ჭიათურაში ჩვენი წარმომადგენელი იქნება **სულხან მახათაძე**, იგი გახლავთ ჭიათურის გამგებელი. არც ერთი პრობლემა, რომელიც ჭიათურასა და ჭიათურელებს აქვთ, მისთვის უცხო არ არის. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, ბატონი სულხანი საუკეთესო კანდიდატურაა.

ბაღდათი-ხარაგაულის ოლქში ჩვენ ვასახელებთ **კობა ლურსმანაშვილის** კანდიდატურას. იგი გახლავთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, იყო ხარაგაულის რაიონის კივის თემის საკრებულოს თავმჯდომარე. პროფესიით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. ბატონი კობას სახით ბაღდათელებს და ხარაგაულელებს პარლამენტში ეყოლება ნამდვილი გულშემატკივარი.

სამტრედიაში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს **გიია მიქელაძე**. ბატონი გია პოლიტიკაში ბიზნესიდან მოდის. ის წარმატებული ბიზნესმენია.

მას სამტრედიაში არაერთი საქველმოქმედო საქმე აქვს გაკეთებული – დაგებული გზები, სკოლების რეაბილიტაცია, დაფინანსებული აქვს ახალგაზრდების სწავლა უცხოეთში. დარწმუნებული ვარ, იგი ასევე ნაყოფიერად იმუშავეს, როგორც პარლამენტარი. ბატონი გია სამტრედიაში გახლავთ და ყურადღებას არ მოაკლებს სამტრედიაელებს.

გიორგი კვიციანი დარწმუნებულია, რომ თითოეული კანდიდატი გუნდს ღირსეულად წარადგენს და პარლამენტში მოსახლეობის ინტერესების ერთგული დამცველი იქნება.

„ჩვენ ერთად ვიზრუნებთ თავისუფალი საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის“, – აღნიშნა პარტიის თავმჯდომარე, მოქალაქეებს წარდგენილი კანდიდატების მხარდაჭერისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა და მათ წარმატებები უსურვა.

„ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და ამით ჩვენი ქვეყანა საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“, – დაასკვნა გიორგი კვიციანი.

## სიბყვიტოკვლელის შეფასება სარადაქციო კომენტარით

გიგა ბოკერია:

### ღებრთა დაბავაროს ასეთი მოგავლისგან

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია „ქართული ოცნების“ მიერ იმერეთში წარდგენილი მასშობრივი დეპუტატობის კანდიდატებს წარსულში კორუმპირებულ და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პირებს უწოდებს.

„ბიძინა ივანიშვილია საერთო სახე იმ ხელისუფლების, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და მათი მოღვაწეობის სახეა ის ეკონომიკური კრიზისი, ის გაღარბება, ის ვარდნა, ის სამუშაო ადგილების დაკარგვა, რაც ჩვენ ვნახეთ ოთხი წლის განმავლობაში და სრული უპერსპექტივობის განცდა, ქვეყნის უფსკრულის პირას მიყვანა. მაგრამ თუკი დამატებითი ელფერი გვიანდა ამის-

თვის, ივანიშვილის სახისთვის, ივანიშვილის დამატებითი სახეა შევარდნაძის დროინდელი, კორუმპირებული და ორგანიზებული დანაშაულთან დაკავშირებული პირების წარმოდგენა. ეს არის საუკეთესო განსახიერება იმისა, რა საფრთხეს უქმნის ივანიშვილი, როცა მისი ერთ-ერთი მარიონეტი კვიციანი საუბრობს იმაზე, რომ წარჩემაშვილი და მიქელაძე არიან საქართველოს მომავალი, ეს ჩვენ გვახსენებს რამდენად აუცილებელია, ოქტომბერში ივანიშვილის რეჟიმის დასრულება, რომ ღებრთა დაბავაროს ასეთი „მოგავლისგან“, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.



ჩემი შენ ბითხარო, გული მოგიკალიო!..

ღებრთა დაბავაროს შებელის დნ-იანი გიგა ბოკერიას ნაგულთმისნარი მომავლისგან. პირდაპირ საკვირველია, რატომ ჰგონია თავისი მრავალმხრივ მზირალი თავი ან კვირიკაშვილზე, ან წარჩემაშვილზე, ან მიქელაძეზე უკეთესი მზეჭაბუკი!

მართალი თუ გინდა, ბოზა მკითხავო, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ კი არ მიიყვანა ქვეყანა უფსკრულის პირას, სწორედაც თქვენს ხელში, ნაციონალების ხელში აღმოჩნდა საქართველო ღვინისაგვით უფსკრულში გადაჩეხილი, და დღეს თუ საქართველოს ნატოს კარი ღია აქვს და მალე ლიბერალიზაციასაც მიიღებს, ეს, უწინარესად, „ქართული ოცნების“ დამსახურებაა.

ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, რომ სულ ტულიად ასარსალებ მაგ შხამიან ენას. მორჩა, ველარაგის ვერ მოატყუებ, შენი და შენი ფიურერის მზე ისევე ჩაბნელებულია, როგორც ჩერგოლიშვილის „ტაბულა“ უსიგნალობის დროს.

შენ ცხოვრებისთვის ზურგშეცეული მიდიხარ წინ, ამიტომ ყოველთვის უკან იქნები!

შენი ბოდილი, სასიკვდილოდ განწირული ვაიპოლიტიკოსის ბოდილია.


ასეა ეს!

„სრ“-ის რედაქცია



ალექსანდრა ჯეჯელავა:

„მაგარ შარში პარტი, ხალხო, ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, შეუქმნა, კარგად ასწავლო“



„ჩემი მიკროკვლევის შედეგად დავადგინე, რომ ყველა კარგი მასწავლებელი ბავშვის დაინტერესებას გაკვეთილზე ახერხებს იმის შედეგად, რომ არღვევს ეროვნულ სასწავლო გეგმას...“

ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომელიც ვერ მივაღწევთ შედეგებს. ვერ გაიგებს ბავშვი ვერაფერს. თან ხელს რომ აინეებს და გეტყვის, ვერ გავიგეო, შენ ეტყვი - მორჩა, ის ორი საათი გავიდა, ახლა სხვა გაკვეთილი გექვს...“

მისინტრმა სკოლებში მათემატიკის საგნისთვის დათმობილ საათებზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, 2 საათი მათემატიკაში წილადებისთვის მცირეა და შეუძლებელია, მოსწავლემ ამ დროში რამე გაიგოს.

ტექნიკურად ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომელიც შეუძლებელია, კარგად ასწავლო. ეს საოცარი ამბავია. წიგნი რომ დაწერო ოდესმე, ამ საოცრებას შეგიტან შიგნით, რომ სახელმწიფომ შექმნა ისეთი გეგმა, რომელსაც თუ დაარღვევ კარგი მასწავლებელი იქნები, თუ შეასრულებ ცუდი...“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ქუთაისელ მასწავლებლებს შეხვედრაზე ჰკითხა, თუ როგორ ახერხებენ ისინი ბავშვების დაინტერესებას სასწავლო პროცესში.

„ვერ გავამტყუნებ ვერც ერთ მასწავლებელს, ვილაცხვებმა თქვენს, რომ ჯანდაბა, კაი ბატონო ორი საათი? - იყოს 2 საათი. ნოლი საათი? - იყოს ნოლი საათი. ვიცი, რომ ვერ გაიგებს? - კარგი იყოს, ვერ გაიგებს. მივხვდი, რომ ამ წიგნით ვერაფერს ისწავლის? - ნუ ისწავლის. რადგან ასეა, იყოს ასე...“

ალმოჩნდა, რომ მასწავლებლები ამას გართობის, დისკუსიის და დებატის ხარჯზე ახერხებენ. პასუხების შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ ყველა კარგი მასწავლებელი ბავშვის დაინტერესებას გაკვეთილზე სასწავლო გეგმის დარღვევით ახერხებს, რაც ვეჯელავამ განათლების სისტემის გაუმართაობას მიანწერა.

მოკლედ ეს არის რეპუტაციის საკითხთან ერთად, ქრესტომათიული უსამართლობა. რა დავარქვავა ამას, არ ვიცი: შეცდომა, ბოროტმოქმედება, უჭკუობა ნებისმიერი რამე აქედან...“

„მე ყველა დარგში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ მათემატიკაში ვერკვევი კარგად. წილადებზე გვაქვს 2 საათი. ახლა მე მაქვს ასეთი მოსაზრება, რომ უნდა შევკრიბო სამინისტროს თანამშრომლები, ჩავუტარო ორსაათიანი გაკვეთილი წილადებზე. მერე გამოვცადო მათი ცოდნა და სავარაუდოდ, სამინისტროს, მათი დიდი ნაწილი დატოვებს...“

დასავლეთ საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 400-ზე მეტ ქუთაისელ პედაგოგს შეხვდა.

მოკლედ, მაგარ შარში ვართ ხალხო. ჩვენ ვამბობთ, რომ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ლევან პარპალოშიძეს ამომრჩეველის მოსყიდვაში აღანუშულებს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ლევან პარპალოშიძის საპარტიო კამპანიაში ამომრჩეველის მოსყიდვის ნიშნავაზე საუბრობს და ცენტრალურ საპარტიო კომისიას მიმართავს:

„18 ივლისს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსათვის“ ცნობილი გახდა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქალაქ ბათუმში „სოციალური სახლების პროგრამას“ ახორციელებს, რომლის ფარგლებში პარტიის ერთ-ერთი წევრი ლევან პარპალოშიძე ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს აფორმებს მეჯინისწყლის დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეებთან. მსგავს ხელშეკრულებებს ლევან პარპალოშიძე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეებთან ამ დრომდე აფორმებს...“



ხელშეკრულების თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაცია წარმოდგენილი ლევან პარპალოშიძის სახით იღებს ვალდებულებას, რომ ქალაქ ბათუმში, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას, განახორციელებს მრავალბინიანი სახლების მშენებლობას და მათ უსასყიდლოდ გადასცემს დასახლებაში მცხოვრებ პირებს. აღნიშნული ვალდებულების განხორციელებას პარტია ეტაპობრივად, გამარჯვებულად 4 წლის მანძილზე გეგმავს. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, თუ რა წყაროებიდან იქნება ეს პროექტი დაფინანსებული.

ნორმის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო სუბიექტებმა წინასაარჩევნო კამპანია სხვადასხვა პროგრამებსა და იდეებზე დაყრდნობით აწარმოონ და არა ფინანსური/მატერიალური დაინტერესების მეშვეობით. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქმედება, შესაძლოა, მიმართული იყოს მეჯინისწყლის დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეთა ხმების მიღების სანაცვლოდ, მათი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისკენ.

მიგვაჩნია, რომ პარტიის ქმედება, შესაძლოა, შეიცავდეს საარჩევნო კოდექსით აკრძალულ ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს, შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, დაინტერესდეს აღნიშნული ფაქტით, გამოიკვლიოს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს. ამასთანავე, მოვუწოდებთ საარჩევნო სუბიექტებს, თავი შეიკავონ, ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ამომრჩევლის მხრიდან შეიძლება აღიქმებოდეს მათ მოსყიდვად, - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.



მეზანე კონსხე პირსის რეაბილიტაცია დასრულდა

ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის ფარგლებში სასეირნო პირსის მოეწყო.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, პირსის სავალ ნაწილზე, 131,5 გრძ.მ-ზე, დაიგო 664 კვ.მ ხის ფაქტურის ბეტონი არმირებული საფარი. ასევე მოეწყო ლითონის მოაჯირები და 30 ერთეული გარე განათება.



7 ახალი სკოლი დიდუბის რაიონში

მერიის ინფორმაციით, აღმშენებლის გამზირ №181-ში, გოგოლაურის ქ. №18-ში, წერეთლის გამზირ №87-79-ს შორის, ასმეტელის ქ. №6-ში, ლუბლიანას ქუჩა №11-ში, ასევე დიღმის მასივის მე-4 კვარტლის მე-14-სა და მე-5 კვარტლის მე-20 კორპუსებთან სკვერების მოწყობის სამუშაოები პროექტის მიხედვით მიმდინარეობს.

აღნიშნული ტერიტორიები დასუფთავდა საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაგვისგან, განხორციელდა დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გრანიტის ბორდიურებისა და დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოები. სკვერების ტერიტორია შემოისაზღვრება ლითონის ლობით, დამონტაჟდება გარე განათების

ბოძები, დაიდგება საპარკე სკამები და სანაგვე ურნები, ასევე სასმელი წყლის სოკოები.

სკვერებში პატარებისთვის გასართობი ზონაც იქნება. კაუჩუკის ხელოვნურ საფარზე დამონტაჟდება გასართობი საბავშვო ატრაქციონი სასრიალოებით, კარუსელითა და საქანელებით. სკვერებში სამუშაოების დასრულების შემდგომ, დიდუბის მოსახლეობას დამატებით 7 ახალი კომფორტული მოსასვენებელი ზონა ექნება.

ახალი გზა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

საპარტიო კამპიის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გუმბათი-ხორსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საავტომობილო გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის. რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია: ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, სახიდე გადასასვლელისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია. ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად, მძლოლთა სრულყოფილი ორიენტაციის მიზნით გათვალისწინებულია საავტომობილო გზის საგზაო ნიშნებით აღჭურვა, ზღუდრების მოწყობა, მიმართველი ბოძკინტების დაყენება და სავალი ნაწილის მონიშვნა. რეაბილიტაციის პროცესს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ხერგიანი გაეცნო. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2 600 000 ლარია.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 15%-ით შემცირდა...

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-ივნისში 1153 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით 15 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 294 მლნ. აშშ დოლარი (29 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 859 მლნ. აშშ დოლარი იყო (8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 20 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 31 პროცენტი და იმპორტში 18 პროცენტი 2016 წლის იანვარ-ივნისში დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 15 პროცენტი (2015 წლის იანვარ-ივნისში 20 პროცენტი).

საგარეო სავაჭრო ბრუნვა 20%-ით გაიზარდა

2016 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 5705 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 948 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 4757 მლნ. აშშ დოლარს (30 პროცენტით მეტი).

შსსპილმსი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წლის იანვარ-ივნისში სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 1614 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 34 პროცენტი შეადგინა. აქედან, სპეპატივის მედიკამენტების იმპორტმა 1486 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 243 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 5 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 219 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).





# ოსები და ქართველები - უჩანს თუ არა შერიგებას პირი?!

არცთუ დიდი ხნის წინათ ოსურმა მედიამ ოკუპირებული ენ სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება დააანონსა. ეს საკითხი პერიოდულად საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში ექცევა და განსხვავებულ გრძობებს იწვევს.

როგორც არ უნდა შეფასდეს მსგავსი განზრახვები და მათი შედეგები საერთაშორისო კანონმდებლობის თვალსაზრისით, მათ სერიოზული ფაქტობრივი შედეგები ექნება როგორც ოსებისთვის, ისე ქართველებისთვის.

ეს გაიძულებს, კიდევ ერთხელ მიხედო უჩანს და დაფიქრდე იმაზე, როგორ მივედით მსგავს ვითარებაში? რა მთავარი შეცდომები იქნა დაშვებული? შესაძლებელია თუ არა რამის გამოსწორება? შესაძლებელია თუ არა შერიგება? და შესაძლებელი იყო თუ არა სისხლის მღვრელი შეტაკებების თავიდან აცილება 90-იან წლებში?

## „შერიგების შესახებ საუბრები ოსებს ალიზინანებთ“...

დინა ალბორცა (პოლიტოლოგი):



ვფიქრობ, კონფლიქტისთვის თავის არიდება შესაძლებელი იყო. ამას ხელი ქართულმა ნაციონალიზმმა შეუშალა. მაშინ ამას ეროვნული თვითშეგნება ერქვა, მაგრამ რეალურად პროვინციული ფაშიზმს უფრო ჰგავდა. მასსოვს მასობრივი ფსიქოზი გამსახურდის პერიოდში - ეს გაგიუბებელი თვალეები მიტირებდა, იცით, რატომ გაახსენდათ ოსებს, რომ ოსები არიან? მათ ეს შეახსენეს. გაიხსენეთ მთავარი ლოზუნგი, რომ ოსები უნდა განდევნო რკინის ცოცხით კავკასიონის ქედს მიღმა!.. არადა, ოსები ხომ კარგად იყვნენ ინტეგრირებულნი! იყო უამრავი შერეული ქორწინება. დაზარადა არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთი, საქართველოს შიდა რეგიონებში მცხოვრები უამრავი ჩვენი თანამოქალაქე ასევე იძულებული გახდა, გაქცეულიყო და ამ დრომდე არ აქვს აღდგენილი საკუთარი უფლებები. ამ დრომდე არ მისცემია არანაირი შეფასება იმ მოვლენებს და არავინ დასჯილა. გგონიათ, ჩვენი ახალგაზრდები ოცნებობდნენ სამხედრო პირობაზე ან მილიციონერობაზე? ერთს სურდა, მშენებელი გამხდარიყო, მეორეს - გამოგონებელი, მესამეს - კაპიტანი და ა.შ. ეს ოცნებები განუზორობილებელი დარჩა იმის გამო, რომ 20 წელი სამხედრო მდგომარეობაში ვცხოვრობდით. სწორედ ამიტომ საუბრები შერიგებაზე სამხრეთ ოსებში მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს, განსაკუთრებით - 2008 წლის ომის შემდეგ.

მსურს, შეგახსენოთ: განსხვავებით ჩრდილოეთ ოსეთისგან, სადაც მოსახლეობა საბოლოოდ რუსიფიცირდა, ცხინვალის რეგიონში შენარჩუნებულია ოსური ენა, ფუნქციონირებს ოსური სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. იქნებ ქართველები არც ისე ცუდები არიან და ღირდეს ჩვენთან საუბარი?

სინამდვილეში სამხრეთ ოსეთში ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით დიდი პრობლემებია. სალიტერატურო ოსურ ენაზე მხოლოდ სპეციალისტები საუბრობენ. რატომ მოხდა ასე? 40-იან წლებში სამხრეთ ოსეთის სკოლებში ერთი ხელის მოსმით გააუქმეს ოსურ ენაზე სწავლება და შემოიღეს ქართული. ხოლო როდესაც ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტების ჯგუფი ოსური ენის ირ-

გვლივ გაერთიანდა, ყველა დააკავეს და 20-25 წლით ჩასვეს. მამაჩემის ბიძაშვილიც იჯდა. პედაგოგიურ ინსტიტუტში ასევე იყო რუსული და ქართული სექტორები, რა თქმა უნდა, აქ თავისი როლი სხვა ფაქტორებმაც შეასრულა. მშობლები თვლიდნენ, რომ მათი შვილების ინტერესებში იყო რუსულ ან ქართულ ენებზე სწავლა. როგორ განვითარდებოდა ოსური ენა ამ პირობებში?

მაგრამ რა საჭირო იყო საქართველოსგან ტერიტორიის ერთბაშად მოწყვეტა და დამოუკიდებლობის გამოცხადება?

საქართველოსგან გამოყოფისკენ სწრაფვა იდენტობის შენარჩუნებისა და მეტიც, ფიზიკური გადარჩენის გამო შიშის ტალღაზე გაჩნდა. ენის ახალმა სახელმწიფო პროგრამამ ფაქტობრივად გააუქმა ოსური ენა. ამან გამოაფხიზლა მოსახლეობა და აიძულა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, აემალეებინა სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკამდე. ავტონომიურ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი იდენტობის შენარჩუნების გარანტიად იქცეოდა. იმ დროს კრემლი ერთმნიშვნელოვნად სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ იყო, ჩამოდიოდნენ კიდევაც და გვირჩევდნენ, „სისულელეებს თავი დაანებეთ და შეურიგდით ქართველებს“. იმ დროს თავად რუსეთში იყო არეულობა და მოსკოვი დაბნეული ჩანდა. როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მათ სურდათ, ეს გადაწყვეტილება გაგვეუქმებინა. ოსი დეპუტატების ნაწილი დათანხმდა, მეორე ნაწილმა კი განაცხადა, რომ თანახმა იქნება იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ ოსეთი ან რუსეთის, ან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევა - ზუსტად არ მახსოვს. ცხადია, არავინ არსად არავინ მიიღო. მთელი ეს 20 წელი დიდ სტრესში ვცხოვრობდით. საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც დილა საავადმყოფოებში ზარებით იწყებოდა - ხომ არ მოუკლავთ ან დაუჭრიათ ვინმე. ახლა უსაფრთხოების გარანტი რუსული ჯარია. ხოლო თუ საქართველო აღიარებს სამხრეთ ოსეთს, ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადავალით.

თუმცა საქართველოს არ უთქვამს უარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეაზე. და არც მსოფლიოს უღიარებია სამხრეთ ოსეთი, როგორც განსხვავებული რეგიონი?

ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოში დაბრუნებაზე საუბარიც კი ზედმეტია. სამხრეთ ოსეთის ხალხს ამჟამად მხოლოდ ორი თემა ალღევს - რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა ან დამოუკიდებლობის განმტკიცება. პირადად ჩემი აზრით, ახლა მთავარი ამოცანა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და სახელმწიფოებრიობის განვითარებაა, რათა ფეხზე რაც შეიძლება სწრაფად დავდგეთ.

## „ოსების მოქმედება და განსხვავება კარგადაა აღმოჩენილი“

პაპა გომოლაშვილი (პოლიტოლოგი):



დამოუკიდებლობის იდეა თითქმის ყოველთვის ბადებს ნაციონალიზმის განვითარებას და საკუთარი ერის მნიშვნელობაზე გადამეტებულ კონცენტრირებას. მკვეთრად აქცენტირებულია ნაციონალიზმმა საქართველოში ეროვნული უმცირესობები შეაშინა. ენ სამხრეთ ოსეთში რეაგირება მოახდინეს ლოზუნგით: „ჩვენ ვრჩებით საბჭოთა კავშირში“. საპასუხო მოქმედება რადიკალური აღმოჩნდა: „საქართველო ქართველებისთვის!“ და ა.შ. ეს იყო

განაცხადი ქართული სამყაროს შექმნაზე, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა კონფრონტაცია. ჩვენ უნდა აგველო კურსი პოლიეთნიკური საქართველოს მშენებლობაზე, რომელშიც ყველას საკუთარი უფლებები ექნებოდა, თუმცა იმ დროისთვის, ქართველი ხალხი ჯერ არ იყო მომწიფებული კარგად გააზრებული მოქმედებებისთვის და არც ლიდერები აღმოჩნდნენ საკმარისად ბრძენები. კავებემ მშვენივრად გამოიყენა ჩვენი შეცდომები და პარალელურად იმუშავა ქართველებს შორის შოკინიზმის გაღვივებაზე. რაციონალურად მოაზრონე ხალხი უმცირესობაში აღმოჩნდა. ხოლო 2008 წელს 2004 წლის შეცდომა განმეორდა, სრულმასშტაბიანი ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილება ვიწრო წრეში, პარლამენტსა და საექსპერტო წრეებთან განხილვების გარეშე იქნა მიღებული. ცალსახად გასაგები იყო, რომ რუსეთი ჩაერეოდა, თუმცა ხელმძღვანელობამ გადააფასა საკუთარი შესაძლებლობები. ფიქრობდნენ, რომ მოასწრებდნენ როკის გვირაბის გადაკეტვას. ის ფაქტიც კი არ გაითვალისწინეს, რომ ცხინვალის ევაკუაცია ჩვენი ჯარების შეყვანამდე ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე დაიწყო და რა მივიღეთ შედეგად? ჩვენ კრემლის ინტერესებს შევუწყვეთ ხელი: ჩვენსა და კონფლიქტურ რეგიონებს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა. არსებობს თუ არა ოსებთან შერიგების შესაძლებლობა? სადღესოდ მათი მოქმედება და განცხადებები მთლიანად კრემლზეა დამოკიდებული. ერთი ნუთით დავეშვათ, რომ საქართველომ აღიარა სამხრეთ ოსეთი, ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ეს თანაშრომლობას და ძალისხმევას კოორდინაციას ნიშნავს. თუმცა რეგიონში რუსეთის წარმოდგენილობა მხოლოდ დაძაბულობის არსებობას ამართლებს. ესე იგი, მას სჭირდება მართული კონფლიქტი.

## „სელები არ უნდა ჩამოვიშვათ“

ძემი ცხელაშვილი (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე):



ადამიანური ურთიერთობები ძალზედ მნიშვნელოვანია კონფლიქტის შესუსტებისათვის, ნელ-ნელა სუსტდება და ქრება მტრის ხატი. სწორედ ამიტომ ჩვენი უწყების პრიორიტეტი ნდობის აღდგენა და კონტაქტების დამყარებაა. ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ეს ბევრად უფრო რთულია მისი ჩაკეტვების გამო. ჩვენ უკვე დიდ ხნის წინათ გვექნებოდა ნაპოვნი საერთო ენა, რომ არა მავთულხლართები და ხელოვნური ბარიერები. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან ერთმანეთს, თუმცა ეს უფრო იშვიათად ხდება, ვიდრე სასურველი იქნებოდა. როგორც კი შეხვედრები უფრო ინტენსიური ხასიათს იძენს, მაშინვე ჩნდება იმის ნიშნები, რომ რუსული მხარე ამ კონტაქტებისთვის ხელის შეშლას ცდილობს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს არა აქვთ შესაძლებლობა ჩამოვიდნენ საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად: ახლობლების სანახავად სამკურნალოდ და ა.შ. ანუ კონტაქტებში დაინტერესება ოსებში არსებობს, თუმცა უწევთ ლარსით მგზავრობა. ბოლო სამი წლის განმავლობაში კონფლიქტური რეგიონებისთვის განკუთვნილი სამკურნალო პროგრამებისადმი მიმართვიანობამ 4-ჯერ მოიმატა. თუმცა რაც მეტია კონტაქტებისადმი ინტერესი, მით უფრო მაღალი ხდება ღირებულება, რადგან ცხინვალის რეგიონი კრემლისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზაა. თუმცა ხელები არ უნდა ჩამოვიშვათ. ოსებს დაახლოებისთვის ახალი შესაძლებლობები უნდა შევთავაზოთ. მაგალითად, კახეთის და შიდა ქართლის ზოგიერთი სკოლისთვის შემუშავებულია ოსური ენის სახელმძღვანელო, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ოსურ ენაზე შესაძლებელი. უნივერსიტეტში ოსურს ფაკულტატიურად სწავლობენ.

## შეხვედრები არ უნდა გავიშალოთ

ძემი ცხელაშვილის განცხადებით, ერგენტის ბაზრობის დახურვამ ნეგატიური პოლიტიკური შედეგები გამოიწვია, ბაზარი ჩრდილოდან ეკონომიკასთან ბრძოლის ეგალიტეტი დახურვს და არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ იგი საყოფაცხოვრებო დონეზე ურთიერთობების დაზარალებას უწყობდა ხელს. ადამიანები ვაჭრობდნენ, კონტაქტებს ამყარებდნენ, ერთმანეთს დიდი ოდენობით ფულს ანდობდნენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ვაჭრობა კონსტიტუციური კონტაქტებისთვის ეფექტური გარემოა. ეს სამშვიდობო ინსტრუმენტი სამუდამოდ დაკარგულია. ბალკანებზე კი მსგავსი ბაზარი სპეციალურად გახსნეს, ჩვენთან ეს თავისთავად მოქმედებდა, თუმცა მისი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ.

ციხელაშვილის აზრით, ჩვენ პრაქტიკულად რუსეთის ნისქელებზე დავასხით წყალი და რეგიონის ჩაკეტვას შევუწყვეთ ხელი, თუმცა ქალბატონი დინა ალბორცა ერთგვანად ბაზრობის შესაძლებლობებს ბევრად უფრო თავშეკავებულად აფასებს, თუმცა თვლის, რომ იგი დაახლოებისთვის ერთერთ მექანიზმად შეიძლება ქცეულიყო. ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარების პირობებში ამ ობიექტის აღდგენა შეუძლებელია. თუმცა აუცილებელია დასკვნების გამოტანა და შეცდომების განმეორების არდაშვება. განსაკუთრებით - შემოქმედების პოლიტიკური მექანიზმების არარსებობის პირობებში.

მედა ბოზსაძე, საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

შედეგები

ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ქონებას საკუთრებაში გაიწვევებენ

მაღალმთიანი სოფლების ერთ ნაწილში მიწის რეგისტრაცია იოლდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, მთავრობამ მაღალმთიან რეგიონებში ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის პროგრამა დაამტკიცა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამის მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებსაც მიწის რეგისტრაციის ფარგლებში არ მიუღიათ მიწის ნაკვეთები, შესაძლებლობა ეძლევათ, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონება საკუთრებაში დაირეგისტრირონ.

რომლის საქმიანობაც ლიცენზირებას ან ნებართვას საჭიროებს. თუმცა კანონპროექტში ასევე ნათქვამია, რომ მთავრობას შეეძლება გამოაკლიოს შემთხვევები დაანუსოს და ამ სექტორებში მოქმედ სუბიექტებზეც გაავრცელოს საგადასახადო შედეგები. საგამონაკლისო კრიტერიუმებს მთავრობა თავად დაადგენს. ამჯერად მთიანი რეგიონების შეღავათებს ახალი ხელშეწყობის პაკეტი ემატა.

როგორც ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ოთარ იაშვილმა განუცხადა, ამ პროგრამით დაეხმარებიან მაღალმთიან რეგიონებში

შეგახსენებთ, რომ 2016 წლიდან საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დასახლებული მოსახლეობა და მომუშავე ბიზნესი მთელი რიგი შედეგებით სარგებლობს. შეგახსენებთ, რომ შესაბამისი კანონი 2015 წელს იქნა მიღებული და შედეგების პაკეტი გულისხმობს როგორც პირდაპირ სოციალურ დახმარებას, ისე ჯანდაცვის პაკეტებს და ა.შ., კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე შედეგებით მენარმევის სისტემის, კერძოდ, საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადისგან ათი წლის ვადით იმ მენარმე სუბიექტების გათავისუფლებას, რომელთაც მთავრობის გადაწყვეტილებით „მაღალმთიანი დასახლების სანარმოს“ სტატუსი მიენიჭებათ. თუმცა კანონპროექტი აწესებს გამონაკლისებსაც და ადგენს, რომ ეს საგადასახადო შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მომსახურების მიწოდებულ და სავაჭრო ბიზნესებზე, ასევე იმ სანარმოზე,



მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში წლების წინ ჩატარებული მიწის რეგისტრაციის ფარგლებში არ მიუღიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მაგრამ მიწის მფლობელობაში ფაქტობრივად ფლობენ და განკარგავენ ამ ქონებას.

იმის მიუხედავად, რომ მაღალმთიანი დასახლებების ჩამონათვალში 1600-მდე

სოფელი შედის, რაც, სხვათა შორის, თავის დროზე დასახლებების ნაწილის პროტექტის საგანიც გახდა, ახალი შედეგები ყველა მათგანს არ შეეხება.

ამ ეტაპისთვის მთავრობის მიერ მიღებული დანართით განსაზღვრულია იმ მაღალმთიანი დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც არ ჩატარებულა მიწის რეგისტრაცია. ამჟამად საუბარია მესტიის, თიანეთის, ახმეტის, დუშეთის, ფანაურის, ხევსურეთის, გუდამაყრის, ანანურის, უკანა ფშვისა და ქვეშეთის კონკრეტულ სოფლებზე. ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ ეს სია კიდევ გაიზარდება.

იგეგმება აღნიშნული სიის განახლება იმ მაღალმთიანი დასახლებების მიხედვით, რომლებშიც ეტაპობრივად დამტკიცდება განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მისაღებად დადგენილებით განსაზღვრული მაღალმთიანი რეგიონის კონკრეტულ სოფელში მცხოვრები დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და წარუდგენს იმ დოკუმენტაციას, რომლებიც პროგრამით არის განსაზღვრული და გამოქვეყნდება საინფორმაციო საშუალებებით.

განაცხადის შეტანის შემდეგ მონვეული იქნება დასახლების საერთო კრება, რომელმაც უნდა დაადასტუროს დაინტერესებული პირის მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობა, ამის შემდეგ აღიძვრება შუამდგომლობა ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან და დაინტერესებულ პირს, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიწის ნაკვეთი უკვე საბოლოოდ გადაეცემა საკუთრებაში.

მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასური 1,2 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთზე განისაზღვრება სიმბოლური ფასით - ერთი ლარით, ხოლო 1,2 ჰა-დან 5 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთის საფასური შეადგენს ფიზიკური პირისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგ ოდენობას.

სამხედრო სამართალი

მკვლართა „გაცოცხლება“

იმ პირობებში, როცა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი (მათ შორის, ცხადაა, დედაქალაქიდან ყველაზე მეტი) საზღვარგარეთაა წასული, უმეტესწილად ლუკმა-პურის სამოქალაქო სამხედრო მშენებლობის თემა უამრავი თბილისური ოჯახისთვის კვლავაც უმწვევეს, წლების მანძილზე გადაუჭრელ პრობლემად და ქცეული. თუ რაოდენ მტკიცებულა ეს საკითხი, ამას თუნდაც ცნობილი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტთან“ დაკავშირებული ბოლოდროინდელი მწვევე მოვლენები მოწმობს. ამდენად, დარწმუნებული ვართ, მეტად საყურადღებოა თბილისის მერიის ინიციატივა შეჩერებულ საბინაო მშენებლობებთან დაკავშირებული დევლოპერული კომპანიებისთვის ახალი მექანიზმის შეთანხმების თაობაზე.

მატებული ღირებულების გადასახადისა და, აგრეთვე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისგან გათავისუფლების თაობაზე, რაც „გაცივებული მშენებლობების“ საკმაოდ მძლავრი იმპულსი უნდა გახდეს. აქვე აუცილებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინიციატივის ფრთაშესხმის შემთხვევაში, თბილისის მერია 2016 წლის მაისში საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაარღვევს, რომლის შესაბამისად დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელ სახლებზე K2 კოეფიციენტის გადამეტება იკრძალება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისის ცენტრალური უბნებისთვის უკვე ამოქმედებული სამშენებლო ნორმა, რომლის თანახმად მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა დაუშვებელია, მთელ რიგ შემთხვევაში უმოწყალოდ დაირღვევა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ქალაქის მესვეურები და მთავრობა ისევ დედაქალაქის ისტორიული იერსახის უკვე გაცვალულ დამახინჯების გზას დაადგენენ, თუმცა კი ამის მიზეზი საკვების გასაგებაა - მიზეზთა და მიზეზთა გამო უამრავი ხალხი დღესდღეობითაც ახალ ბინებს, ანდა, სულაც, უკვე გადახდილი შენატანების უკან დაბრუნებას ამოიდევნებენ. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინიციატივის ავტორთა განცხადებით, ეს შეზღუდვა დროებითია და მხოლოდ თბილისის განაშენიანების გენერალურ გეგმის დამტკიცებამდე იმოქმედებს. საბინაო-სამშენებლო ნორმებში ცვლილებებით ასევე შეიზღუდება განაშენიანების უფლება გამწვანების ზონებში, თუმცა კი თავად მწვევე ნარკავებისგან „მოშავალი სამშენებლო მოედნების“ მავანთა მხრიდან „მოსუფთავების“ წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მერიის არც ახალ ინიციატივაში, არც რომელიმე სხვა ოფიციალურ დოკუმენტში ლაპარაკი არ არის.

დედაქალაქის მერიის მონაცემებით, ამჟამად თბილისში დაახლოებით ასი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა სხვადასხვა ეტაპზეა გაჩერებული(!). ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქაური პოტენციური მობინადრენი ან წლების მანძილზე ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ამოიდევნიან, ანდა, სულაც, უბინაოდ და სხვისი მიწყალობის ანაბარად რჩებიან. არადა, ზოგიერთი საცხოვრებელი კორპუსის დასრულებას სულ ერთი ან ორი სართულის აგება აკლია, ზოგიც კი ჯერაც პირველ სართულს ანდა, სულაც, საძირკველს არ ასცილებია. სტატისტიკურად ისიცაა აღნუსხული, რომ არის უაღრესად რთული მშენებლობები, სადაც ზოგიერთი ბინა ორჯერ და მეტჯერაც კია გაცივდული.

თუ რამდენად ქმედითი აღმოჩნდება თბილისის მერიის ახალი ინიციატივა, ჯერჯერობით გადაჭრით ძნელი სათქმელია, რადგან სამშენებლო კომპანიებს ბინების მოშავალ მფლობელთა წინაშე არსებული დავალიანებების გარდა, ბევრ სხვა სახის ვალდებულებაც აქვს შესასრულებელი, ვთქვათ, დედაქალაქის ხელისუფლების წინაშე და ა. შ., რაც დამატებით რესურსებს საჭიროებს.

ოთარ ტურაბალიძე

წინსვლა საბრძოლველად

საქართველო სოციალური პროგრესის ინდექსი

ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის დეკლარირებული მიზნები და დეკლარირებული შედეგები, დიდი ალბათობით, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ 2016 წლის „სოციალური პროგრესის ინდექსი“, რომელიც ქვეყანაში ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს, საქართველო 69,17 ქულით 133 ქვეყანას შორის 54-ე ადგილზე მოხვდა. წინა წლის ინდექსთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 6 პუნქტით გაუმჯობესდა და დასახლებული შედეგით საშუალო სოციალური პროგრესის ზედა ზღვრის მქონე ქვეყნებს შორის დამკვიდრდა.

„სოციალური პროგრესის ინდექსი“ საერთაშორისო კვლევითი პროექტის The Social Progress Imperative-ის კომბინირებული მაჩვენებელია, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების მიღწევებს სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიხედვით აფასებს.

სოციალური განვითარების სფეროში ამა თუ იმ ქვეყნის მიღწევის შეფასებისას ავტორები 50 მაჩვენებელს იყენებენ, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები - კვება, სამედიცინო დახმარების წვდომა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, წყლის, ელექტროობისა და სანიტარული მომსახურების ხელმისაწვდომობა, პირადი უსაფრთხოების დონე.

ადამიანის ძირითადი კეთილდღეობა - საბაზო ცოდნის ხელმისაწვდომობა მოსახლეობის განათლების დონე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების წვდომა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა.

ადამიანის განვითარების შესაძლებლობა - პირადი და სამოქალაქო თავისუფლების დონე, ადამიანის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ტოლერანტობა და ინკლუზია, უმაღლესი განათლებაზე წვდომა.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარ მიღწევად ჯანდაცვის მიმართულებაა მიჩნეული. კვლევის თანახმად, დადებითად არის შეფასებული საქართველოს პოზიცია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით ყველა კომპონენტში (95,51 ქულა). 98,29 ქულით შეფასდა განათლებაზე ხელმისაწვდომობა, თუმცა გაცილებით ნაკლები, 70,87 ქულით არის შეფასებული პირადი უფლებები, წყალი და სანიტარია - 90,16 ქულა, ინფორმაციაზე წვდომა - 76,29 ქულა, პირადი თავისუფლება 57,12 ქულა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა - 74,65 ქულა, ჯანდაცვა და კეთილდღეობა - 59,24 ქულა, ტოლერანტობა და ჩართულობა - 25,93 ქულა, პირადი უსაფრთხოება - 82,49 ქულა, გარემოს ხარისხი - 53,51 ქულა, უმაღლესი განათლებაზე წვდომა - 45,95 ქულა.

ასევე, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევის მიხედვით, საქართველოში ყველაზე დაბალი მაჩვენებლით არის შეფასებული ტოლერანტობისა და ინკლუზიის ინდიკატორის ყველა პუნქტი, მათ შორის, რელიგიური, სექსუალური, ძალადობის, დისკრიმინაციისა და იმიგრანტების მიმართ. ასევე დაბალი მაჩვენებლით არის შეფასებული გარემოს ხარისხი და რელიგიის თავისუფლება.

სოციალური პროგრესის კუთხით 2016 წლის ლიდერი ფინეთი გახდა, რომელსაც კანადა, დანია, ავსტრალია და შვეიცარია მოსდევს. რეიტინგის ბოლო სუთეულში კი ნიგერია, ანგოლა, ჩადი, ავღანეთი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მოხვდნენ.

წინა ეპიზოდი





„მანქანების საკითხი“ კვლავ ბრუნდება?!

ხელოვნური ინტელექტის მომავალი - როგორ უნდა იმოქმედოს საზოგადოება

მისპრტიმბი შიშობენ, რომ „ადამიანური შრომის მანქანებით ჩანაცვლება“, შეიძლება მოსახლეობის დიდი ნაწილი „ზედმეტად“ აქციოს. შიშობენ, რადგან, მათი აზრით, ეს უდიდესი ძალა აღმოჩნდა, სანამ მის შესაბამის მართვას ვისწავლიდით. ასეთი შიშებით შეპყრობილი არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება გაანადგურებს მილიონობით სამუშაო ადგილს და კაცობრიობას ფილმ „ტერმინატორში“ გადმოცემულ საფრთხეს უქადის. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი შეფასებები ახალი არაა. კომენტატორები ასეთივე საფრთხეზე საუბრობდნენ ორი საუკუნის წინათაც, როცა შრომის მექანიზაცია და ორთქლის ძალის გამოყენება იწყებოდა. იმ დროისთვის ამ პრობლემას „მანქანების საკითხს“ უწოდებდნენ. დღესაც ანალოგიური დებატები მიმდინარეობს.

ხელოვნურმა ინტელექტმა ბოლო რამდენიმე წელიწადში საოცარი პროგრესი განიცადა მრავალფეროვანი ტექნიკის შედეგად, რომელსაც „ღრმა შესწავლა“ ეწოდება. ის მოდელირებულია ტვინის გაბუნების მიხედვით და საკმარისი მონაცემებით მომარაგების და დიდი (ან „ღრმა“) ხელოვნური ნეირონული ქსელის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი დაავადების შესრულება შეუძლია. ისინი ამუშავებენ Google-ის საძიებო სისტემას, ფოტოების და თავის ავტომატურ ფუნქციას Facebook-ს, Apple-ის ხმის ასისტენტს, შენაძინების რეკომენდაციებს Amazon-ზე და ტელას თვითმართვად მანქანებს. თუმცა ამ სწრაფმა შედეგებმა წინ წამოიწია სამუშაო ადგილების შემცირების და უსაფრთხოების საკითხები. სტეფან ჰოლციანი, ელონ მასკი და სხვები მსჯელობენ იმაზე თუ რამდენად არის შესაძლებელი ხელოვნური ინტელექტის კონტროლიდან გამოსვლა და რამდენად შეუძლია ამ პროცესს, გამოიწვიოს სამეცნიერო ფანტასტიკის უნარის დაპირისპირება ადამიანებსა და მანქანებს შორის. სხვები შიშობენ, რომ ხელოვნური ინტელექტი, კოგნიტიური სამუშაოს ავტომატიზებით გამოიწვევს უმუშევრობის გაზრდას. 200 წლის შემდეგ „მანქანების საკითხი“ კვლავ ბრუნდება და მას პასუხი უნდა გაცეთ.

ყველაზე შემამოფრთხილებელი სცენარი ხელოვნური ინტელექტის ბოროტ ძალად ქცევაა, რაც გადმოცემულია უამრავი სამეცნიერო ფანტასტიკის უნარის ფილმში. ამ სცენარს საფუძველი ძალიან დიდი ხნის წინათ, „ფრანკენშტეინის“ (1818წ) დაწერისას ჩაეყარა. იმის მიუხედავად, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები შთაბეჭდილია, მათ მხოლოდ სპეციფიკური დავალებების შესრულება შეუძლია: თუმცა, ზოგადად ხელოვნური ინტელექტს შეუძლია საკუთარი შემქმნელი ადამიანებისგან დასხლტომა და პერსპექტივაში განუსაზღვრელი ქმედებების განხორციელება. ხელოვნური ინტელექტის მკვლევარს ენდრიუ ინის თქმით, ამაზე ნერვიულობა იგივეა, რომ ვინერვიულოთ მარსზე მოსახლეობის სიჭარბეზე, იმ დროს, როცა იქ კოლონიზატორები ფეხს ჯერაც არ დაუდგამთ. „მანქანების საკითხის“ უფრო აქტუალური ასპექტი სამუშაო ადგილებზე და ცხოვრების სტილზე ხელოვნური ინტელექტის გავლენას შეეხება. ამ შიშებსაც დიდი ისტორია აქვს. „ტექნოლოგიური უმუშევრობის“ პანიკა სამოციანებში დაიწყო (როცა ფირმებმა რობოტები და კომპიუტერები დაწერეს) და შემდეგ, ოთხმოციანებში (როცა პერსონალური კომპიუტერები სამუშაო მაგიდებზე დაიდგა). ყოველ ასეთ შემთხვევაზე საკითხი ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ადამიანების მაღალკვალიფიციური შრომა უკანა ფონზე გადაინევა.

რეალურად კი საბოლოო ჯამში ყველა ამ შემთხვევაში ტექნოლოგიებმა იმაზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა

ვიდრე გაანადგურა, რამდენადაც ერთი რუტინული სამუშაოს ავტომატიზაციამ გაზარდა ადამიანებზე მოთხოვნა ისეთ სამუშაოებზე, რომელთა შესრულებაც ჯერ კიდევ შორსაა ავტომატიზებისგან. მაგალითად, ბანკის მოლაპარაკების ნაწილის ბანკომატებით ჩანაცვლებამ უფრო გააიფარა ახალი დარგების შექმნა, რამაც გამოიწვია ბევრად მეტი სამუშაო ადგილის შექმნა კლიენტების მომსახურების და გაყიდვების განყოფილებაში. ანალოგიურად, ელექტრონიკის ვაჭრობის განვითარებამ გაზარდა საერთო დასაქმების მაჩვენებელი საცალო ვაჭრობის დარგში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იმდენად არ ჩაანაცვლებს მუშა ხელს, რამდენადაც გააჩენს ახალი უნარების ათვისების და დახვეწის საჭიროებას, როგორც ეს ოფისებში კომპიუტერების შეტანისას მოხდა. ერთ-ერთი საკმაოდ ხშირად ციტირებული კვლევის მიხედვით, მომდევნო ორ დეკადაში ამერიკული სამუშაო ადგილების 47%-ს ემუქრება ავტომატიზაცია, თუმცა სხვა კვლევების ანგარიშით ეს პროცესი სამუშაო ადგილების 10%-ზე ნაკლებს შეეხება.

იმის მიუხედავად, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში სამსახურების შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში კომპენსირებული იქნება უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნით, გადასვლა შესაძლოა მაინც ტრავმატული აღმოჩნდეს, როგორც ამას მე-19 საუკუნის გამოცდილება გვაჩვენებს. ცხოვრების დონის საუკუნოვანი სტაგნაციის შემდეგ ეკონომიკამ ნახტომისებური ზრდა განიცადა, მაგრამ დეკადები დასჭირდა, სანამ ეს

რეალური ხელფასების ზრდაში აისახა. ფერმებიდან მოსახლეობის მასიურმა გადინებამ ურბანული ინდუსტრიებისკენ დიდი შოთვა გამოიწვია ევროპის მასშტაბით.

სახელმწიფოებს საუკუნე დასჭირდა, რომ ამ გამოწვევისთვის ეპასუხათ ახალი საგანმანათლებლო და კეთილდღეობის სისტემების შექმნით. ამჟამად, გარდამავალი პერიოდ, სავარაუდოდ, უფრო სწრაფი იქნება, რადგან ტექნოლოგიების დიფუზია უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე 200 წლის წინათ. საშემოსავლო უთანასწორობა უკვე იზრდება, რადგან მაღალკვალიფიციური მშრომელები არაპროპორციულ სარგებელს იღებენ მათ სამუშაო ადგილებზე ტექნოლოგიების დამატებით. ეს ორ გამოწვევას ქმნის დამსაქმებლებისა და პოლიტიკოსებისთვის:

როგორ დავეხმაროთ არსებულ მუშახელს ახალი უნარების ათვისებაში და როგორ მოვაზადოთ მომავალი თაობები ისეთ სამუშაო ადგილებზე მუშაობისთვის, რომლებშიც ფართოდ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი?

რამდენადაც ტექნოლოგიები ცვლიან საჭირო უნარებს ყოველი პროფესიისთვის, მშრომელებს მოუწევთ ადაპტირება. ეს კი ნიშნავს, რომ გადაამზადება და განათლება საკმარისად ფლექსიბელური უნდა იყოს, რომ მოხერხდეს ახალი უნარებით უზრუნველყოფა სწრაფად და ეფექტურად. საჭირო იქნება მეტი ყურადღების გამახვილება უწყვეტ განათლებასა და სამუშაო პროცესის დროის დასწავლაზე. საჭირო იქნება ონლაინ სწავლების და ვიდეოთამაშების ტიპის სიმულაციების გამოყენება. ამ მხრივ თავად ხელოვნური ინტელექტს შეუძლია დახმარების განევა, კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლების პერსონალიზებით და დასაქმებულების უნარების ხარვეზების იდენტიფიცირების მეშვეობით გადაამზადების უზრუნველყოფით.

სოციალური და ემოციური უნარები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება. როდესაც სამუშაო ადგილები „მალფუნქციონირებს“ ტექნოლოგიები სწრაფად ნაცვლდება, ხალხს სამუშაო ცხოვრება უფრო გრძელდება და სოციალური უნარები ფუნდამენტური მნიშვნელობის ხდება. ეს ადამიანებს აძლევს საშუალებას, შეასრულონ ემპათიისა და ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული სამუშაო (ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც მანქანების ძალებს აღემატება).

ასევე საჭირო იქნება კეთილდღეობის სისტემების განახლება, რათა მოხდეს მუშების ხელშეწყობა გარდამავალ ეტაპზე, სანამ ისინი აითვისებენ ახალ უნარებს. ერთ-ერთი პანაცეა დიქსონის გეგმა ფართოდ რეკომენდებული „ბაზისური შემოსავალია“, რომელიც მდგომარეობის მიუხედავად ყველაზე გაიცემა, თუმცა ამას საფუძველი არ გააჩნია ძლიერი მტკიცებულების გარეშე, რომ წინა ტექნოლოგიური რევოლუციებისგან განსხვავებით ეს გარდატეხა შემცირებს მოთხოვნას სამუშაო ძალაზე. ამის მაგივრად ქვეყნებმა უნდა მიზამონ დანის ფლექსიბერული დახვეწის („flexicurity“) მოდელს, რომელიც ფერმებს საშუალებას აძლევს, მარტივად იქირაონ და გაათავისუფლონ მუშა ხელი, ამავე დროულად კი ხელს უწყობს უმუშევრებს ახალი სამსახურისთვის გადაზიდვების პერიოდში. დახმარებები, პენსიები და ჯანმრთელობა ინდივიდუალურ მშრომელებს უნდა მიეზღოს და არა დამსაქმებლებს (როგორც ძირითადად ხდება).

ტექნოლოგიების აღზევების მიუხედავად, მოდერნული ეპოქის კეთილდღეობის და საგანმანათლებლო სისტემებს არ ეტყობათ, რომ მოდერნიზაციის და უფრო მოქნილი ხდება. პოლიტიკოსებმა უკვე უნდა დაიწყონ მოქმედება, რადგან რაც უფრო გვიანდება, მით უფრო მეტი ტვირთი აწევს კეთილდღეობის სახელმწიფოს. ჯონ სტიუარტ მილი 1840 წელს წერდა: „არ არსებობს კანონმდებლის „ზრუნვის“ უფრო ლეგიტიმური ობიექტი, ვიდრე ტექნოლოგიების მიერ ადამიანების ძირგამოთხრილი ცხოვრება“. ეს შესაბამება როგორც ორთქლის ძრავის ეპოქას, ისე ხელოვნური ინტელექტის ეპოქასაც.

The Economist

ყველაფერი ყველაფერზე



რონალდო კველმოქმედაშის ჩეპიონია!

პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, ახლა უკვე euro-2016-ის ჩემპიონმა კრიშტიანუ რონალდუმ მოგებულ თანხა მთლიანად გადარიცხა სიმსივნესთან ბრძოლის საბავშვო ფონდში.

ჩარიცხულმა თანხამ 275-ათასი ევრო შეადგინა. მან აგრეთვე 2015-2016 წლის ჩემპიონთა ლიგაში მოგებულ თანხაც ბავშვებს უსახსოვრა. 31 წლის ფეხბურთელს საერთო ჯამში 10 მილიონზე მეტი ევრო აქვს გაღებული სხვადასხვა ფონდებისთვის და მილიონერ სპორტსმენებში პირველ ადგილს იკავებს საკუთარი ქველმოქმედებით. ცნობილია, აგრეთვე, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე მან ერთ-ერთ ბავშვს მთლიანად დაუფინანსა სიმსივნის ოპერაცია.

2016 წლის სწოილი მილიონერი „პარსკლაპები“

შურნალმა Forbes-მა 2016 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავები დაასახელა. პირველ ადგილზე მომღერალი ტილორ სვიფტი გავიდა, წლიური შემოსავლით 170-მილიონი დოლარი. მეორე ადგილზეა ჯგუფი „One Direction“ - წლიური შემოსავლით 110 მილიონი დოლარი.



ცნობილი პოპ-მოდელური Madonna-მ მე-12 ადგილს იკავებს - 76,5 მილიონით. ყველაზე მაღალანაზღაურებად წყვილად კი მომღერალი ბიონსე და რეპერი „JAY-Z“ დასახელდნენ.

მივირთვათ თუ არა კონსერვი?

სტანფორდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ კონსერვირებული პროდუქტის ხშირმა გამოყენებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს დიაბეტი, გულის დაავადებები და ჰორმონალური დარღვევები.

კონსერვები ისეთ ნივთიერებებს შეიცავენ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ შინაგან ორგანოებზე.

სამხრეთ პოლუსი?

კამბრიჯის უნივერსიტეტის კლიმატოლოგებმა შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელეს. მათი დასკვნებით, სამხრეთ პოლუსზე ყინულის მასა მთლიანად გადნება. ამ მოსაზრებას სხვა მეცნიერებიც ეთანხმებიან, თანაც ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი 2030-2050 წლებში ყველასთვის საგრძნობი გახდება...



პროზაიკები მილიანფაროვი

ქრისტოფერ უოკერი: საქართველოსთვის პროპაგანდა უზარმაზარი გამოწვევაა

საქართველოსა და რეგიონში შექმნილი მედიაგარემოს, რუსეთის „რბილი ძალის“ გავლენებისა და პროპაგანდასთან ბრძოლის გზებზე, ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ ვაშინგტონში ბაზირებული დემოკრატიის ეროვნული ფონდის ვიცე-პრეზიდენტს ქრისტოფერ უოკერს ესაუბრა:

— „ამერიკის ხმა“: როგორ აფასებთ მედიის განვითარებას საქართველოში, რეგიონში, სადაც ბოლო ხანს რუსეთმა რბილი ძალა გააქტიურა, ადგილობრივი მთავრობები კი მეტ ზეწოლას ახორციელებენ მედიასაშუალებებზე? რა ტენდენციებს ხედავთ?

— ქრისტოფერ უოკერი: დღევანდელ მსოფლიოში, კომერციული მედიასაშუალებები არნახულ ზეწოლას განიცდიან. ეს ტენდენცია ვერც სამხრეთ კავკასიას ასცდა, მაგრამ რეგიონში მაინც საკმაოდ მრავალფეროვანი პრესაა. საქართველო, სხვებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია. სხვადასხვა გამონკვეთს მიუხედავად, საქართველოში მედიაპლურალიზმია. საქართველოს განსხვავებით, აზერბაიჯანში ღრმად რეპრესიული გარემოა. რაც შეეხება იმას, თუ რა დაუპირისპიროს საქართველომ რუსეთის რბილ ძალას: საქართველო პატარა ქვეყანაა. რუსეთის მზარდი ზეწოლის გასაწინააღმდეგოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლი მას ძალიან გაუჭირდება.

— დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ, საქართველოში კვლავ პრობლემები მედიასფეროში, განსაკუთრებით — არჩევნების წინ. რით ახსნით ამ ვითარებას?

— რეგიონში არსებულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, საქართველო მეტნაკლებად წარმატებულ მიაგალითია. დიას, ჟურნალისტიკის ხარისხისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, იქაც პრობლემებია, მაგრამ მიმართა, რომ საქართველოს მედიამრავალფეროვნება შთაბეჭდავია. მედია გარემო უფრო ფართო პოლიტიკურ გარემოს ვერ გაემიჯნება. აქ უფრო მეტად საკითხავია,

რამდენად შეძლებს ქართველი საზოგადოება დემოკრატიული რეფორმების გადამაყვებას, რაც, თავის მხრივ, მედიაგარემოსაც წაადგება.

— რა პარალელებს გააყვებთ ბალტიის ქვეყნებთან, რომლებმაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორ ათწლეულზე ნაკლებ დროში სამაგალითო მედიაგარემო ჩამოაყალიბეს?

— ბალტიის ქვეყნებმა ძალიან კარგად განავითარეს არა მარტო მედიასექტორი, არამედ დემოკრატიის ყველა სხვა ფუნდამენტი. სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ისინი სწრაფად გადავიდნენ ევროპული ინსტიტუტების ყაიდაზე. მედიაგარემოზე გლობალური ტენდენციების გავლენა იქაც შესამჩნევია, თუმცა სამივე ქვეყანაში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, მედიკანონმდებლობა, მედიასტანდარტები და პრესის თავისუფლებისათვის საჭირო დამცავი მექანიზმები მაღალ დონეზეა.

— რა როლს დააკისრებდით, ერთი მხრივ, მთავრობას და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას დემოკრატიისათვის საბრძოლველად?

— ეს უზარმაზარი პრობლემაა. დემოკრატიაში მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება საკმარის დროსა და რესურსს უნდა უთმობდეს ამ პრობლემის დაძლევა, პრობლემისა, რომელიც ამ მასშტაბითა და სიღრმით შედარებით ახალია. მაგალითად, რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა, სადაც მთავრობას არაფერი ზღუდავს. ამიტომ მას აქვს რესურსი საზღვარგარეთ მასშტაბური დემონსტრაციისა და პროპაგანდის სანარმოებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის იმ მექანიზმებს იყენებს, რომლის განვითარებაც დემოკრატიაში შესაძლებლობებს აღემატება. თქვენი კითხვის პასუხად გეტყვი, რომ დემოკრატიულმა მთავრობამ, რომელსაც დემოკრატიული ღირებულებების დაცვა ვეალება, კარგად უნდა დაასაბუთოს პროპაგანდასთან ბრძოლის აუცილებლობა, სამოქალაქო საზოგადოებამ კი მთავრობასთან ერთად პრობ-



ლემასთან გამკლავების გზები ეძებოს. — რა არის პროპაგანდასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება?

— ჩემი და ორი სხვა ავტორის, მათ შორის პროფესორ ლერი დაიმონდის ახალ წიგნში „ავტორიტარიანიზმი გლობალურ მასშტაბებს იძენს“, ჩვენ ესაუბრობთ იმ ტენდენციებზე, რომელიც დიდი, კარგი რესურსებით შეიარაღებული სახელმწიფოების მხრიდან მომავალი გამონკვეთის მასშტაბებს ასახავს, ტენდენციაზე, რომლის მასშტაბები ძალიან ფართოა. თუ მედიასექტორს შევხედავთ რუსეთისა და ჩინეთში, აქ ლაპარაკია მილიარდებით დაფინანსებულ ინდუსტრიებზე, რათა ამ ქვეყნების მთავრობების სათქმელი საერთაშორისო მასშტაბებით გავრცელდეს. ამან კი დემოკრატიული სახელმწიფოები სახტად დატოვა და მხოლოდ უახლოეს წარსულში დაიწყო ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება. პროპაგანდის ქსელი ჩახლართული და კომპლექსურია. მის წინააღმდეგ ბრძოლა, კი შესაბამისად, ვერ იქნება ნაჩქარევი ან ადვილი. აქ საჭიროა განათლება, მედიაგანათლების ჩათვლით, ანალიზის სეროიზული საშუალებებები და ფორმები, იმისათვის, რომ ელიტებმაც და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც ეს პრობლემა კარგად გააცნობიერონ. ასევე, საჭიროა დამოუკიდებელი მედიაკონტინენტის მხარდაჭერა, განსაკუთრებით საგამომიებო ჟურნალისტიკის მხარდაჭერა, რათა ჟურნალისტიკის სტანდარტები და სიღრმე პრობლემის დასაძლევად გამოდგეს. და ბოლოს, აქედან რომელიმე კომპონენტის არქონის პირობებში — პრობლემის გააზრების გარეშე, არ ვფიქრობ, რომ გამონკვეთის დაძლევა ადეკვატურად მოხდეს.

გადაღებული ეპროკური ოცნება

„STRATFOR“ (აშშ): გაერთიანებული სამეფოს ბასკლას ხელს უშლის საქართველოს ეპროკავშირში განხილვის გეგმებს

ეპროკავშირი „პრემსიტის“ პროზაიკები ფოკუსირდება და არა მომლოცავს, უკრაინისა და საქართველოს ეპროკავშირთან ინტეგრაციის გეგმებზე, — აღნიშნულია აშშ-ის ანალიტიკური სააგენტო „სტრატფორის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.

გათავაზოთ მასალის რეზიუმე: „ამ ქვეყნებს უკვე რამდენიმე წელია, ევროკავშირში განხილვის იმედი აქვთ, მაგრამ მიწვევა ჯერაც არ მიუღიათ. მართალია, „ბრექსითი“ არ ნიშნავს ევროკავშირის სწრაფ დაშლას, მაგრამ აშშ-ს კარაა, რომ ევროპის ყურადღება ამჟამად უფრო მეტად საკუთარ პრობლემებზეა აქცენტირებული, ვიდრე საქართველოს, უკრაინისა და მომლოცავს გეგმების რეალიზებაზე“, — ნათქვამია სტატიაში.

„სტრატფორი“ მიიჩნევს, რომ ჩამოთვლილი ქვეყნები შეშფოთებული არიან იმით, რომ ვაითუ ევროკავშირმა აღმოსავლეთით გაფართოების ინტერესი დაკარგოს, რაც, „ბუნებრივია, რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდას გამოიწვევს“.

„ბრიტანული რეფერენდუმის შემდეგ საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები ევროპის დედაქალაქებს ვნივინენ იქაურ ლიდერებთან შესახვედრად. მათ გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს და სხვა დასავლელ პოლიტიკოსებს აუხსნეს, თუ რას ნიშნავდა მათთვის ის გაურკვეველობა, რომელიც ევროკავშირთან დამოკიდებულებაში გაჩნდა.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ „ბრექსითი“, მართალია, მომლოცავს, საქართველოს და უკრაინის გეგმებზე დიდ გავლენას არ იქონიებს, მაგრამ უახლოეს მომავალში სიტუაცია მაინც არასტაბილური და არასახარბიელო იქნება. „ამჟამად ეს ქვეყნები უარესი სცენარისათვის ემზადებიან. არაა გამორიცხული, რომ ვიზალიზირებული ზეწოლის საკითხის განხილვა უფრო შორეული მომავლისათვის გადაიდოს“, — ნათქვამია მოხსენებაში.

„საგიზო რეჟიმის ლიბერალიზება ერთადერთი საკითხი არაა, რომელიც უკრაინის ბედის სასწორზეა დადებული. ჯერ კიდევ „ბრექსითამდე“ გაჩნდა ეჭვები, რომ შესაძლოა, ევროპას რუსეთის წინააღმდეგ დადგენილი სანქციები შეესუსტებინა. შესაბამისად, „ბრექსითის“ შემდეგ დაწყებული რყევები, ალბათ, სანქციების სამომავლო მოხსნა-შესუსტებაზე დადებით გავლენას მოახდენს“, — ასეთი დასკვნაა გაკეთებული „სტრატფორის“ მოხსენებაში.



ლორა მანკვილი: საქართველომ და უკრაინამ უნდა იცოდნენ, რომ გათივის დასავლეთი რუსეთს არ შეეპრობება

გერმანიის მარშალის ფონდმა, კონგრესმენ მაიკლ ტერნერს (ოჰაიოს შტატიდან) უმასპინძლა. იგი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტიც გახლავთ. მთავარი თემა ვარშავის სამიტის შედეგები, ბრიტანული „ბრექსითი“ და რუსეთიდან მომავალი საფრთხეები იყო. კონგრესმენმა, საერთო ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში, ევროკავშირის და ნატოს უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობაზეც ისაუბრა.

მაიკლ ტერნერი: „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტზე საქართველოს ნატოში გაწევრების მსურველი ქვეყნის სტატუსი დადასტურდა. ნატოს მხრიდან ნამდვილად არის იმის ვალდებულება, რომ საქართველოსთან ითანამშრომლოს და სამხედრო კოოპერირების საკითხებზე იმუშაოს. ასევე უზრუნველყოს დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობა. აქამდე ნატო თითქმის ბიუროკრატიულ აპარატად იყო გადაქცეული — ნევრობის მსურველებს თითქოს ქალაქდამომარჯვეული მხოლოდ კითხვებს უსვამდა, მათთან მუშაობაზე და თანამშრომლობაზე კი უარს აცხადებდა. ვფიქრობ, ახლა საქართველო მჭიდრო ურთიერთობებს ინყებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ვარშავაში ყოფნის დროს საქართველოს დელეგაციის წევრებს შევხვდი, ისინი ძალიან კმაყოფილი არიან“.

„Radio Voice of America“-ს კორესპონდენტი ესაუბრა აგრეთვე შეხვედრის მოდერატორს ლორა მანკვილს, ფრანგულ გაზეთ „ფიგაროს“ ამერიკული ბიუროს ხელმძღვანელს.

ლორა მანკვილი: „საქართველოსა და უკრაინის საკითხი ნამდვილად ძალიან რთულია. როდესაც ალიანსის წესდების მესუთე მუხლზე ესაუბრობთ, ეს ადვილია, რადგან ყველაფერი განსაზღვრულია, ანუ თუ ნატოს რომელიმე წევრს საფრთხე შეექმნება, მას ალიანსის სხვა წევრები დაეხმარებიან. ისინი ყოველ სანტიმეტრს დაიცავენ — ეს ნათელია, მაგრამ საკითხავი ისაა, თუ რა ხდება მესუთე მუხლის მიღმა. ეს ბუნდოვანი, ნაცრისფერი ზონაა. ვფიქრობ, რომ დასავლეთს ეს კარგად ესმის. მიუხედავად ამისა, ნატოს წევრები ცდილობენ, რომ ეს ქვეყნები (უკრაინა და საქართველო) ნაახალისო, რომ მტკიცედ იდგნენ და ყველა საჭირო რეფორმა გაატარონ, ასე ვთქვათ, მოგვიახლოვდნენ, ანუ როგორც კონგრესმენმა აღნიშნა, დასავლეთთან სამხედრო თანამშრომლობა განავითარონ, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ და უკრაინამ იცოდნენ ის ფაქტი, რომ ამ მომენტისათვის დასავლეთი

რუსეთს საქართველოსთვის სამხედრო ძალით არ შეეპრობება. დიას, ეს ძალიან ძნელი სათქმელია, უხეზად უღერს, მაგრამ ეს ასეა. მთავარი ისაა, რომ ჩვენ რუსეთის აგრესიული მოქმედება არ დავუშვათ, ანუ ისეთი გარემო შევქმნათ, რომლის დროსაც აგრესიის განხორციელება დაუშვებელი, შეუძლებელი იქნება“.









ლეგიონარი

მარკოვიჩი ელდას უახლოვდება

საბურთალოს „დინამო“ კლუბის მარკოვიჩი...



მარკოვიჩი ათენელთა თავდაცვის არგონის პედუ...

ბარგება არჩია, მამუჩარი საერთოდაც პირველი...

ტრანსფერი

„მანჩესტერი“ კოგბას სანასკლოდ 125 მილიონ იხდის

მადრიდის „რეალს“ ტურინის „იუვენტუსის“ ფრანგი...

La Gazzetta dello Sport-ის ცნობით, ინგლისურმა კლუბმა...

ფასის სახით ყოველწლიურად 12 მილიონ ევროს ჰპირდება...

გიორგი შოთაძე

რაზი

საქართველო ექვს ერში - თვის ბოლოს გაირკვევა

საქართველოს ექვს ერში ჩართვა გარდაუვალია და დროის საკითხია...

თვის ბოლოს ექვსი ერის წარმომადგენლებს ოფიციალური გეგმური შეხვედრა ექნება...

WALESONLINE-მ ამ თემას საინფორმაციო სტატია მიუძღვნა

„სამივე საკითხს მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს...“

„ექვსი ერის წარმომადგენლები თვის ბოლოს შევიკრიბებით...“

ვადების გადანევაში პრობლემას ვერ ვხედავ, თუკი ის სხვა საკითხების მოგვარებაში დაგვეხმარება...

რომ ისინი გადაბმულად 13 თვის განმავლობაში ვარჯიშობდნენ და ასე არ შეიძლება...“



განვიხილოთ სამივე საკითხი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით და გამოვიტანოთ ვერდიქტი...

ექვსი ერის ჩატარების ვადების შესახებ

დადებითი: „მსოფლიო რაგბის“ თავმჯდომარეს ბილ ბომონტს სურს ერთიანი სეზონი...

უარყოფითი: არგუმენტი, რომ ტურნირის ჩატარების ვადების აპრილში გადანევა დატვირთვებს შეამცირებს...

ვერდიქტი: მოთამაშეებისთვის და გულშემატკივრებისთვის ფრაგმენტებად დაყოფილ სეზონზე უარესი არაფერია...

ნიჩოვსოვა

მსხეთაში, მტკვარზე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციისა და მცხეთის სანიჩროს-ნო სკოლის ინიციატივით მცხეთაში, მდინარე მტკვარზე პირველად გაიმართა რვაადგილიანი ნავით 1971 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტკაიადის ბრინჯაოს პრიზიორის, წლების განმავლობაში საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ ბეჟან ხურციძის სსოვნის ტურნირი...

2. გიორგი გვრიტიშვილი, 3. გიორგი ბედოშვილი (ორივე-დუშეთი).

კაიაკი. გოგონები. 1. სალომე ჯიქურაული, 2. ნინო ჯიქურაული, 3. ანა ჯიქურაული (სამივე-დუშეთი); ვაჟები. უფროსები. 1. გიორგი ოგბაიძე (მცხეთა), 2. ემზარ ირემაშვილი, 3. ჯუბა ჩხუტიაშვილი (ორივე-დუშეთი); უმცროსები. 1. სერგო ბერიკაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი ყარსიმაშვილი, 3. ნიკა ჩოხელი (ორივე-დუშეთი).

ორგანიზატორთა გადანევეტილებით, ბეჟან ხურციძის მემორიალი ტრადიციული გახდება, მომავალი წლიდან კი საერთაშორისო სტატუსს შეიძენს.

ლაშა ლიღია



სალომე ჯიქურაული

მეორეზე და პირიქით. საჭიროა გამოინახოს კომპრომისი და თუ იქნება სურვილი, 2020 წლამდეც შესაძლებელია ამ ცვლილების განხორციელება.

ბონუს-ქულა

დადებითი: გახსოვთ როგორი მაგარი იყო 2015 წლის ექვსი ერის დასკვნითი შაბათი? უელსმა იტალია რომში 61:20 დაამარცხა მაშინ, როდესაც ირლანდიამ „მარიფილდზე“ 40:10 აჯობა შოტლანდიას, ხოლო ინგლისმა საფრანგეთი 55:35 დაამარცხა, თუმცა, ირლანდიელებს ქულების სხვაობით მაინც ვერ გაუსწრო. ბონუს-ქულების მომხრეები წინასწარმეტყველებენ, რომ პრემიალური ქულის ძიებაში მსგავსი თამაშები სწორი იქნება.

უარყოფითი: კრიტიკოსები სამართლიანად ამბობენ, რომ იმ გუნდებს, რომლებსაც სამი თამაშის ჩატარება უნევთ საკუთარ მოედანზე, სხვებთან შედარებით უპირატესობა ექნებათ, რადგან ჩვეულ გარემოში ლელოების გატანა უფრო მარტივია. გარდა ამისა, რომში მარტის მზიან დღეში ლელოები უფრო ადვილად იდება, ვიდრე წვიმიან „მარიფილდზე“.

ვერდიქტი: ბონუს-ქულებს ერთი დიდი მიწისი აქვს და ჩემთვის ამ საკითხს საბოლოოდ ხურავს. გუნდმა ტურნირი შესაძლოა „დიდი სლემით“ დაასრულოს და ვერ გახდეს ჩემპიონი. საფრანგეთმა 2002 წელს ექვსი ერის 10 ქულით დაასრულა, მაგრამ პრემიალურ ქულას მხოლოდ ირლანდიის 49:5 ძველთვის მიიღებდა. ინგლისმა ის წელიწადი ოთხი მოგებით და 8 ქულით მეორე ადგილზე დაასრულა, მაგრამ მოგების ბონუსს აიღებდა იტალიასთან, უელსთან, შოტლანდიასთან და ირლანდიასთან, ასევე 15:20 მარცხისთვის საფრანგეთთან და ამრიგად 13 ქულით ტიტულს დაეუფლებოდა.

გაეპარდა და დაინახა

დადებითი: მოცემული მომენტისთვის ექვსი ერის დასურული ჩემპიონატია, რაც კომფორტულ გარემოს ქმნის „ხის კოვზის“ მფლობელისთვის. ქვედა ლიგაში გაეპარდის ან ერთა თასის გამარჯვებულთან პლეიოფის სისტემის დანერგვა და დაქვეითების საფრთხე ბოლოადგილოსანს სერიოზულ ფინანსურ დანაკარგს მოუტანს, რაც მათ მოწოდებას გაზრდის. გარდა ამისა, საქართველოსა და რუმინეთს არ უნდა წაერთვას განვითარების უფლება, რაც უმაღლესი ეშელონის გუნდებთან რეგულარული თამაშით მიიღწევა. ახლა მათ ამის შესაძლებლობა მხოლოდ მსოფლიო თასზე აქვთ.

უარყოფითი: თბილისში, გნებავთ ბუქარესტში გასეირნება გულშემატკივრებისთვის ვერ იქნება უფრო მომხიბვლელი, ვიდრე გაზაფხულის რომში ჩასვლა ან მეზობელ ედინბურგში სტუმრობა. საქართველო საშინაო მატჩებისას სტადიონს ავსებს, მაგრამ რამდენი ადამიანი მივა კარდიფში საქართველოსთან ან რუმინეთთან თამაშის სანახავად? ნახევრად ცარიელი ტრიბუნები დიდი დარტყმა იქნება უელსის რაგბის კავშირის ბიუჯეტისთვის.

ვერდიქტი: უახლოეს პერიოდში ექვსი ერში გავარდნასავსელ სისტემის დანერგვის ალბათობაზე უკანასკნელ დოლარს არ დავდედბდი. უფრო მისაღები სცენარია, რომ ტურნირი გაფართოვდეს შვიდ ერამდე და მხოლოდ ამის შემდეგ დაინერგოს ასვლა-ჩასვლის სისტემა.

ხადრი იაშვილი

# სხელა, მიირთვით ნაყინი!

## როგორი ნაყინია ყველაზე სასარგებლო?

საბჭოთა პერიოდში ნაყინის ასორტიმენტი საქართველოშიც არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. თუმცა ტკბილეულების მოყვარულებს მისდამი დღემდე აქვთ ნოსტალგია, იმ ნაყინის გემო ხომ უნაკლო იყო. როგორაა დღეს საქმე საყვარელ ტკბილეულთან დაკავშირებით?

### ესიომ სამარხვო კარაქზე

საბჭოთა პერიოდში ნაყინის ხარისხის მაჩვენებლად მისი ცხიმისა და ითვლებოდა — რაც მაღალი იყო იგი, მით უკეთესი. კვების ტექნოლოგები ამტკიცებენ, ამჟამად ნაყინის კეთება ძველი რეცეპტურით პრაქტიკულად არარეალურია. დღეს ნაყინის შემადგენლობაში სულ უფრო ხშირად შეაქვთ რძის ცხიმის ეგრეთ წოდებული შემცველი, რომელიც მცენარეული ზეთების ნარევისგან შედგება.

ნაყინი მცენარეული დანამატების გარეშე განეკუთვნება პრემიუმის კლასს და შეადგენს ასორტიმენტის არაუმეტეს 30-50 პროცენტს.

ამ ბოლო ხანებში ზოგიერთ ქვეყანაში მიიღეს ერთგვარი ტექნიკური რეგლამენტი რძესა და რძის პროდუქტისაზე. ეს კანონი ავალდებულებს მწარმოებლებს, შეფუთვაზე მიუთითონ პროდუქტში შემავალი მცენარეული ცხიმები. შემდეგ ძალაში შევიდა შესწორებები ტექნიკურ რეგლამენტში, სადაც მოხვდა ცივი ტკბილეული. მას შემდეგ ეტიკეტზე სიტყვა „ნაყინის“ დანერა შეუძლიათ მხოლოდ მწარმოებლებს, რომლებიც მას მხოლოდ რძისგან ამზადებენ.

მათ კი, ვინც მცენარეულ ცხიმებს იყენებს (თუმცა არაუმეტეს 50 პროცენტი-სა!), უნდა მიუთითონ, რომ ესაა „ნაყინი მცენარეული ცხიმით“. ყველა დანარჩენებმა კი უნდა მოიფიქრონ თავიანთი პროდუქტისთვის სხვა სახელწოდება.



### ფრთხილად, კალორიზაია!

ჩვენი მოქალაქეები წელიწადში საშუალოდ 2,5 კილოგრამ ნაყინს ჭამენ. ამერიკასთან შედარებით, სადაც 10-15 კილოგრამს მიირთმევენ, ეს ძალიან ცოტაა.

მაშ, რამდენი ნაყინი უნდა ვჭამოთ? ვისაუბროთ მოხმარების ნორმებზე და იმაზე, რომ ნაყინი — ესაა პროდუქტი, რომლის შეტანა რაციონში აუცილებელი არ არის. რაც არ უნდა იყოს, ეს ტკბილეულია. ზედმეტი წონის ადამიანებმა უმჯობესია, იგი საერთოდ არ მიიღონ. თუმცა, ნაყინში არის სასარგებლო ცილა, მასში ასევე ბევრია შაქარი და „სწრაფი“ ნახშირწყლები, უჯრედისებრი კი არაა. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ნამდვილ ნაღების პლომბირს გლიკემური ინდექსი აქვს უფრო დაბალი, ვიდრე იაფ ნაყინს! თუმცა პლომბირი ამ დროს უფრო კალორიულია. დღეს მწარმოებლები აწარმოებენ ექსპერიმენტებს რეცეპტურასთან, რათა შეამცირონ საყვარელი ტკბილეულის ენერგეტიკული ღირებულება.



უცხოეთში ზოგჯერ ცდილობენ, შეცვალონ ცხიმის ნაწილი ეგრეთ წოდებული მიმეტიკებით — ნივთიერებებით, რომლებიც პროდუქტს აძლევენ ცხიმის გემოს, თუმცა სინამდვილეში ცხიმის ნაწილი არაა. არის ნაყინი დიაბეტით დაავადებულებისთვის ფრუქტოზისა და ასპარტამზე. ჩვენთანაც სცადეს ევროპაში პოპულარული დაბალკალორიული ნაყინის გამოშვება ტომატზე, მაგრამ ხალხს ის არ მოეწონა.

მაგრამ როგორი გემრიელი და სასარგებლოც უნდა იყოს ნაყინი, სპეციალისტები გვიჩვენებენ, არ შემოვიწინებთ იგი მარაგად. ოჯახის მაცვივარში იგი ცუდად იწახება: ყინულის კრისტალები იზრდება და გემოთი შესამჩნევად ხდება. მაღაზიაშიც, როდესაც ნაყინს ვირჩევთ სპეციალურ მაცვივარში, უმჯობესია, ავილოთ ის, რომელიც ქვევით დევს.

### საინფორმაცო...

პლომბირისა და ესკიმოს გარდა, მსოფლიოში ნაყინის ათასობით რეცეპტი არსებობს. ხარისხის მრავალფეროვნებას შორის ბევრი ეგზოტიკურიცაა. მაგალითად, პარიზის ერთ-ერთი ბისტროს შეფ-მზარეული პეტერ ნილსონი ამზადებს... შე-ბოლილ ნაღების ნაყინს. ვაშინგტონის რუსტკოში მომსახურებლებს უმასპინძლდებიან... ესკიმოთი ლუდისაგან. ლონდონში გასაყიდად გამოიყენებს 20 სახეობის ნაყინი ტრადიციული ბრიტანული კერძისა (შოტლანდიური შაგისის — ხბოს ხაშის) და ვორჩესტერის სოუსის გემოთი. დედაქალაქის ერთ-ერთ კლუბში შეიძლება გაუხინჯო გემო ნაყინს ჟელეს იასამინდანი მწვანე ჩაისთან და კვირისთან, აგრეთვე ლავანდურ პლომბირს ქონდართან ერთად.

### სხვათა შორის...

ამერიკის შვერტებულ შტატებში მოდაშია გახდომა... ნაყინზე. მეთოდის ავტორმა პოპულარულმა დიეტოლოგმა ჰოლი მაკ კორდმა დაამუშავა სრულფასოვანი რაციონი 1500 კილოკალორიაზე, თანაც მასში ყოველდღე შედის ერთი ფინჯანი ნაყინი. ამერიკელი მსახიობი ქალი უმა თურმანი რომ გამხდარიყო კვენტინ ტარანტინოს ბლოკბასტერში გადაღებისთვის, იჯდა ნაყინის დიეტაზე, და ერთ კვირაში 5 კილოგრამი დაიკლო...

### სანთელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს სამთო საზოგადოება, გრ. ნულუკიძის სამთო ინსტიტუტი, შპს „საქნახშირი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალებული ღვაწლმოსილი სამთო ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

### ალექსი მიქელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### სულთანა

## მედიცინის რაინდი



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — 18 ივლისს უცნაურ გარდაცვალებას განიცდიდა ქართველი მეცნიერი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ირაკლი მაშაშვილი**.

დაიბადა 1940 წლის 26 აგვისტოს გამოჩენილი ქართველი ქირურგის, აკადემიკოს დავით მაშაშვილის ოჯახში. 1970 წელს, ლენინგრადის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იმ დროისთვის უაღრესად აქტუალურ თემაზე „დედისა და ნაყოფის ანტიგენებისა და ანტისხეულების თანაფარდობა იზოიმუნოზაციისა და ორსულთა გვიანი ტოქსიკოზების დროს“, რასაც შემდეგ მოჰყვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ნეიროპეპტიდების, და კატექოლამინების როლი საშვილოსნოს კუმშვითი აქტივობის რეგულაციაში ადამიანის ორსულობისა და მშობიარობის დროს“. პროფესორმა ირაკლი მაშაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა დედისა და ნაყოფის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემების შესწავლას. მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიები, გამოკვლევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საშვილოსნოს კუმშვადი აქტივობის რეგულაციის მექანიზმების შესწავლა. ორსულთა პათოლოგიის სხვადასხვა სახეები პათოგენეზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ბიოქიმიური საფუძვლები. მის მიერ, თანაავტორებთან ერთად, პირველად შედგენილი იქნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური კარტა, იდენტიფიცირებული იქნა 15 ძირითადი ნეიროპეპტიდი და 3 კატექოლამინი. დადგინდა, რომ ანტინატალური პერიოდის დასასრულს, ნაყოფის თავის ტვინის ნეიროენდოკრინული სისტემა მომწიფებულია და იმყოფება ფუნქციური აქტივობის პერიოდში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის ადაპტაციას ახალ პირობებთან. მის მიერვე პირველად შემუშავდა ორსულობისა და მშობიარობის თავისებურებანი და ნაყოფისა და დედის ნეიროპეპტიდების და კატექოლამინების როლი სამშობიარო მოქმედების აღძვრასა და რეგულაციაში. მან შეადგინა უმძიმესი სამედიცინო პათოლოგიის - ლოგინობის ხანის სისხლდენის დროს გასატარებელ ღონისძიებათა ალგორითმი.

ირაკლი მაშაშვილი შრომები მოხსენდა მსოფლიოს საერთაშორისო და ევროპულ კონგრესებზე ესპანეთში, იაპონიაში, აშშ-ში, ჩეხოსლოვაკიაში. ათეული წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში შესრულებული შრომების განხორციელებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩაჩაყას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში ორსულთა პათოლოგიის, ქირურგიული გინეკოლოგიის განყოფილებების ხელმძღვანელად, ინსტიტუტის სწავლულ მდივანად, ხოლო უკანასკნელ ხანებში მუშაობდა რეპროდუქციული მედიცინის ცენტრ „უნივერსის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ. ამ დიდ სამეცნიერო ორგანიზაციულ და პედაგოგიურ საქმიანობას ირაკლი მაშაშვილი წარმატებით უთავსებდა რესპუბლიკის რაიონებში მუშაობასაც. მისი სამეცნიერო შრომები მრავალჯერ აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოებით, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციამ მიანიჭა „მედიცინის რაინდის“ წოდება, არჩეული იყო კავკასიის ხალხთა სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსად.

პროფესორი ირაკლი მაშაშვილი სამედიცინო გამოირჩეოდა განსაკუთრებული ერთგულებით, პედაგოგიური მუშაობის უდიდესი სიყვარულით, იყო სწორუბოვარი პრაქტიკოსი მეან-გინეკოლოგი. მისი ნათელი სსოვნა დიდხანს დარჩება უამრავი მეგობრისა და მადლიერი ავადმყოფების გულში.

**საპარტოველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. ქაჩაჩავის მრავალპროფილური კლინიკა; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი; რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი „უნივერსი“.**

პალიკო, ნინო, ნიკოლოზ კინტრაიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, ცნობილი მეან-გინეკოლოგის, პროფესორ **ირაკლი მაშაშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### თაობა

## ანაკლიაში საზეიმოდ გაიხსნა „მოვალის ბანაკი-2016“

ანაკლიაში საზეიმოდ გაიხსნა „მოვალის ბანაკი 2016“. გახსნის ცერემონიას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი მოადგილეებთან, ცენტრის ხელმძღვანელთან გიგა გაბუნიასთან და მონაწილე მსახიობებთან ერთად დაესწრო. „მოვალის ბანაკი“ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ყველაზე მასშტაბური პროგრამაა, რომელსაც ცენტრი მეოთხე წელია ახორციელებს.

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქ-

ტიური დასვენებით უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ბანაკის პირველი სტუმრები სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული სკოლის მოსწავლეები არიან. წელს ანაკლიაში ზაფხულს 2 300-ზე მეტი მოზარდი გაატარებს.

კობა კობახიძე



„60 წელი სენაზა“  
ლეო ანთაძის  
შემოქმედებით  
სალო

საბჭოთალოს რაიონის გამგეობის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტის ლეო ანთაძის შემოქმედებითი სალამო გაიმართა.

ცნობილი ქართველი მსახიობი, რომელმაც მსოფლიოს მთელი უამრავი საინტერესო როლის შესრულებით დაამახსოვრა, უკვე 60 წელია, ქართულ სცენაზე თუ სატელევიზიო ეკრანზე ჩანს და ამ პერიოდის განმავლობაში, მან არაერთი გამორჩეული პერსონაჟი განასახიერა.



ლონისძიებზე 84 წლის მსახიობმა მის მიერ განსახიერებული პერსონაჟები გააცოცხლა და მონოსპექტაკლი წარმოადგინა.

ლონისძიებებს საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე, საბურთალოს საზოგადოებრივი საბჭოების, პენსიონერთა და ვეტერანთა კავშირის წევრები ესწრებოდნენ.

ლეო ანთაძის შემოქმედების 60 წლისთავსადმი მიძღვნილ ლონისძიებას სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

სოლად - მოგილოდინე,  
სამარად -  
თოჯინა?!

ლას-ვეგასში მცხოვრები აარონ ჩერვენაკი საკუთარ მობილურ ტელეფონზე დაქორწინდა. იგი აცხადებს, რომ მისი აიფონი, მთელი ცხოვრების სიყვარულია.

61-წლის იაპონელმა კი, მეუღლე და ორი შვილი მიატოვა მას შემდეგ, რაც სათამაშო თოჯინა შეუყვარდა. ვინმე საორი აცხადებს, რომ თოჯინას ისე მიეჩვია, როგორც ცოცხალს და მასთან ერთად პაემანზე თუ მალაზიაში სიარულიც ძალიან მოსწონს.

ქალაქი-VS-სოფალი

ამერიკელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ბავშვები, რომლებიც დიდ მეგობრებს შორის იზრდებიან, ბევრად უფრო აგრესიული არიან, ვიდრე პროვინციებში (სოფლად) აღზრდილები. ფსიქოლოგების აზრით მოზარდები, რომლებიც ბუნებასთან ახლოს ცხოვრობენ, მშვიდობის მოყვარულები და სიკეთის აღსაყვანი არიან.

მოამზადა რუსუდან ქოჯუაძემ



მიხეირო თუ ღაპურაქო?

ელექტრონული ფოსტა შეყვარებულებს გრძობებს ხმაზე უკეთ გამოხატავს.

ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტში მონაწილე მოხალისეებს სატრფოთათვის თავიანთი გრძობების გამხელა ელექტრონული წერილით და სმოვანი შეტყობინებით სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ადრესატებმა წერილობითი მიმართვა უფრო დამაჯერებლად და ვნებიანად აღიქვეს. ამ ამბავმა მკვლევარები გააკვირვა, მაგრამ მათ ამ ფაქტს რიგი ახსნა მოუძებნეს. ერთი, რომ ბევრს სიყვარულის ახსნის სიტყვების წარმოთქმისა ერიდება, ამიტომაც ხმა უკანააღებებს, რაც საერთო შთაბეჭდილებას აფუჭებს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ წერილის დანერისას ადამიანებს მეტი დაფიქრებისა და შესაბამისად, საკუთარი გრძობების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობა აქვთ.

„სხვისთავიანი“ ბრტყელი  
ჭიები, ნიტრილული ბაქტერიები

მასაჩუსეტსელმა ბიოლოგებმა ბრტყელ ჭიებს... სხვა ჯიშის ჭიებს თავისა და ტვინის გაზრდა „აიძულეს“. ამ გზით მეცნიერებმა ჭიების რეგენერაციის ბუნებრივი შესაძლებლობები და უჯრედებს შორის ცილების არხები გამოიყენეს, რომლებიც ინფორმაცია ელექტრონიკის სახით გადაიცემა. ეს კი მათ ტრავმების შემდეგ აღდგენის ახალი მეთოდის შემუშავებაში დაეხმარება.

ბოსტონელი ბიოქიმიკოსი დევიდ უითლოკს კი შხაპი... 12 წლის განმავლობაში არ მიუღია. მან გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ სისუფთავის შენარჩუნება საპნის თუ გალის გარეშე შეიძლება. მეცნიერებმა ყურადღება მიაქცია, რომ ტშეკნტონტფთის გვარის ბაქტერიები ანთების საწინააღმდეგო თვისებების მქონე აზოტის ოქსიდს აწარმოებენ, რის პროცესში ამიაკს, შარდოვანასა და ადამიანის კანის მიერ გამოთავსებულ სხვა ნივთიერებებს შთანთქავენ. ახლა კი უითლოკი „შხაპის შემცველს“ - ნიტროზული ბაქტერიების სპრეის აწარმოებს.

როდის ვახლოდ უფროს?

ცოტა ვინმე თუ არის კმაყოფილი თავისი ხელფასით, ამიტომ ბევრი მისი მომატების თხოვნით აპირებს მიმართოს უფროსს, ოღონდ ვგაა, საამისოდ ხელსაყრელი მომენტის შერჩევას მნიშვნელოვანად. მკვლევარები აცხადებენ, რომ საამისოდ საუკეთესო დროა ყოველი კვირის ოთხშაბათი. ამერიკელი ფსიქოლოგები, რომლებმაც 1500 მენეჯერი

ანაკლოტაპი

ბავშვობაში სულ მეგონა, რომ ავტობუსის კონდუქტორი მისი მძღოლის ცოლია.

ცოლი ეუბნება ქმარს:  
- იცოდე, ჩვენი შვილის ძიძას კიდე თუ გაეარსიყვები, გაგყრები!  
- ნუთუ, ასეთი წვრილმანის გამო მიმატოვებ?  
- დიასაც, მიგატოვებ! შენ მას ატუტუტებ - შენნაირ ქმარს მე დღეში სამს ვიშოვნი, ბავშვისთვის ასეთ ძიძას კი - ვერა!

სტუმრად მივედი ყავის დასალევად, ვგრევე ვისკი დამისხეს. მაშინვე მივხვდი: ამ ოჯახში ძალიან ფუფუნარ და ყოველთვის უხარიათ ჩემი მისვლა.



გამოკითხეს, იმასაც ამბობენ, რომ ქვეშევრდომების ხელფასის საკითხის განსახილველად ოთხშაბათს დღისით ხუთიდან ოთხი უფროსი მზადაა. გამოკვლევის ავტორთა აზრით, ორიგინალური იდეის წამოსაყენებლად კარგი დროა ხუთშაბათი, სამსახურიდან დროზე ადრე დათხოვნა კი უფრო ადვილია პარასკევს.

ევროპელმა სოციოლოგებმა საკითხი უფრო დააკონკრეტეს და დაადგინეს, რომ დანიაურების ან ხელფასის გაზრდის თხოვნით უფროსს უმჯობესია, ნაშუადღევს პირველ საათზე სთხოვოს. ეს დრო სამუშაო ციკლის ის პერიოდია, როცა ხელმძღვანელობა თანამშრომელთა თხოვნების დასაკმაყოფილებლად ყველაზე მეტადაა განწყობილი. ყველაზე კრიტიკული დრო კი ნაშუადღევს სამი საათი ყოფილა.

უჩაქულო დამხმარეები

აზრიკის სამხრეთში მობინადრე ბეშენები საუცხოო, დაუღალავი მონადირეები არიან, თანაც ნადირობისას... გეპარდებს, დედამიწაზე ამ უსწრაფეს და ულამაზეს მტაცებელს იყენებენ.

გეპარდები მათ ანტილოპებისა და ტახების მონადირებაში ეხმარებიან, გასამრჯელოდ კი ნადავლის ნაწილს იღებენ. მონადირეებს მსხვერპლთან რაც შეიძლება ახლოს მიპარვა უნევს, რადგან მათი პატარა მშვილდები შორ მანძილზე ისარს ვერ ტყორცნიან, თუმცა კი ნევრზე შხამი აქვს წასმული.



არაჩვეულებრივი დამხმარეები ბუშმენებს... ბრაკონირთა წყალობით გაუჩნდათ. ორი დაობლებული ლეკვი ადამიანებმა გაზარდეს, ცხოველები მათ შეეჩვივნენ, თუმცა კი მაინც ველურებად დარჩნენ.

დამსხველი ცელულიტი

ძალის თეძობებსა და დუნდულებზე ცელულიტი ბრიტანელ მკვლევართა აზრით... გულის დაავადებისგან იცავს.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თეძობისა და დუნდულების ცხიმოვანი ქსოვილი ანტიანთებით ნივთიერებას შეიცავს, რომელიც არტერიებს დაცობისგან იცავს. ამასთან, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ცხიმოვანი ქსოვილში ქალური სტეროიდული ჰორმონები - ესტროგენები წარმოიშვება, რომლებიც სისხლძარღვებს მოქნილობას უნარჩუნებენ და ხელს უშლიან ათეროსკლეროზული ბალების წარმოქმნას.

საქართველოს რესპუბლიკა  
SAKARTVELOS  
REPUBLIKA  
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ქოჯუაძე  
293-13-34  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;  
ალექს  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;  
რუსლან რუსია  
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „თანადგომა“-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„კოლორში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323  
ISSN 2233-3851

ავტორთა  
საჩუქრადღეობად!  
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:  
6 თვით - 60 ლარი,  
1 წლით - 120 ლარი.

მისამართი: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია - 2 93 13 34; 599 79 76 79; „მაცნე“ - 2143906; „ელვასერვისი“ - 2 388 012; „პლანეტა-სტარტ“ - 2 988 990; „პრესა-2012“ - 2341140; „ოლიმპი“ - 599 15 19 69; „პრესა“ - 55155444; „ჯეომედია“ - 593 977 888.

ჩვენი მისამართი:  
ქ. თბილისი, სულხან-საბას ძ. №3  
სალონის ინჟინერი  
66434

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობების სამსახური	საგარეო ურთიერთობების სამსახური	საგარეო ურთიერთობების სამსახური
	საგარეო ურთიერთობების სამსახური	საგარეო ურთიერთობების სამსახური